დამტკიცებულია

შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესის

დირექტორის 2021 წლის 15 ოქტომბრის N1/17 ბრძანებით

ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი „პროგრესი“
American International High School-College „Progress“

მოსწავლეთა თითმმართველობის დებულება 2021წ.

მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. მოსწავლეთა თვითმმართველობა არის „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე და 48-ე მუხლების შესაბამისად არჩეული ორგანო. იგი წარმოადგენს სკოლის სტრუქტურულ ერთეულს და უფლებამოსილებას ახორციელებს მომდევნო სასწავლო წელს თვითმმართველობის ახალი არჩევნების ჩატარებამდე.

1.2. მოსწავლეთა თვითმმართველობა დაკომპლექტებულია საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისაგან.

1.3. მოსწავლეთა თვითმმართველობა ვალდებულია, თავისი საქმიანობა წარმართოს ამ დებულების საფუძველზე და მის შესაბამისად, წვლილი შეიტანოს მოსწავლეთა განვითარებაში.

მუხლი 2. მოსწავლეთა თვითმმართველობის მიზნები:

2.1. მოსწავლეთა თვითმმართველობის ძირითადი მიზნებია:

2.1.1. ხელი შეუწყოს სკოლის მართვის პროცესში მოსწავლეთა ჩართულობასა და მათი იდეების განხორციელებას;

2.1.2. მოსწავლეებში გაზარდოს სოციალური პასუხისმგებლობის და ორგანიზებულობის ხარისხი;

2.1.3. მოსწავლეთათვის პრობლემური თუ აქტუალური საკითხების განხილვა და სკოლის მმართველობითი ორგანოების ინფორმირება. აგრეთვე, მათ მოგვარებაში ჩართულობა;

2.1.4. მოსწავლეთათვის თეორიული ცოდნის შეძენისა და პრაქტიკული უნარების განვითარები მიზნით სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობის ორგანიზება;

2.1.5. სასკოლო კლიმატისა და კულტურის გაუმჯობესებაში მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდა;

2.1.6. მოზარდის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია. ამ მიზნების ხელშემწყობი კლუბების და აქტივობების ფორმირება;

2.1.7. მოსწავლის მიერ ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელშეწყობა.

მუხლი 3. მოსწავლეთა თვითმმართველობის ძირითადი ფუნქციები

თვითმმართველობა დასახული მიზნების მისაღწევად ახორციელებს შემდეგ ძირითად ფუნქციებს:

3.1. შეიმუშავებს და დირექტორს წარუდგენს მოსაზრებებს სხვადასხვა საკითხთან დაკავშრებით;
3.2. სკოლის ბალანსზე არსებული ფინანსების, ინვენტარის, ფართის ან სხვა საკუთრების გამოყენების საჭიროების შემთხვევაში, აწარმოებს მოლაპარაკებას დირექტორთან;
3.3. იცავს მოსწავლეთა ინტერესებს და მათ უფლებებს. საჭიროების შემთხვევაში შუამდგომლობს მოსწავლეებს სკოლის დირექციასთან;
3.4. ხელს უწყობს სკოლაში არსებული კლუბებში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას;
3.5. მონაწილეობას იღებს სკოლაში მიმდინარე ღონისძიებების, პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში;
3.6. სკოლის ტერიტორიაზე გეგმავს გამოფენებს, ჩემპიონატეს, კონკურსებს და სხვა სახის აქტივობებს, სკოლის დირექტორთან შეთანხმებით;
3.7. შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის შინაგანაწესთან დაკავშირებით;
3.8. დირექტორს წარუდგენს წინადადებებს სკოლისათვის მნიშვნელოვან ყველა საკითხთან დაკავშირებით;
3.9. სკოლის წესდებით დადგენილი წესით და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მონაწილეობს მოპოვებული გრანტის განკარგვაში;
3.10. წევრთა ერთი მეხუთედის ინიციატივით ქმნის სასკოლო კლუბებს და ირჩევს მათ ხელმძღვანელებს.

მუხლი 4. მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევის წესი

4.1. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები ირჩევენ თვითმმართველობას.
4.2. თვითმმართველობის წევრები აირჩევიან თანასწორობის საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, კლასების მიხედვით თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპის დაცვით.
4.3. მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები, ამ დებულების 3.2 პუნქტში აღწერილი პრინციპების დაცვით, შესაძლოა ჩატარდეს სრულად ფიზიკურ გარემოში, სრულად ონლაინ ფორმატში ან ამ ორი ფორმატის სინქრონიზებით - ჰიბრიდულ რეჟიმში.
4.4. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები ტარდება სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში.
4.5. მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების თარიღს და ფორმატს (ფიზიკური თუ ონლაინ/ციფრული) ნიშნავს სკოლის დირექტორი.
4.6. თითოეული კლასის მოსწავლეები ირჩევენ ორ-ორ წარმომადგენელს, მომდევნო სასწავლო წელს მოსწავლეთა თვითმმართველობის ახალი არჩევნების ჩატარებამდე.

თანაბარი ხმების არსებობის შემთხვევაში იმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობენ მხოლოდ თანაბარი ხმების მქონე კანდიდატები.

4.7. მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს, საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა მოსწავლეს.

4.8. საბაზო და საშუალო საფეხურების თითოეული კლასის მოსწავლე ხმას აძლევს ორ კანდიდატს. გამარჯვებულად მიიჩნევა ის ორი მოსწავლე, რომელებიც შესაბამის კლასში ყველაზე მეტ ხმას მოიპოვებენ.

4.9. მოსწავლეები, რომელთაც სურთ გახდნენ თვითმმართველობის წევრები, რეგისტრაციას გადიან შესაბამისი კლასის დამრიგებელთან არჩევნების ჩატარებამდე არა უგვიანეს 5 დღით ადრე. დამრიგებლის არყოფნის შემთხვევაში კი სკოლის თვითმმართველობის კოორდინატორთან.

4.10. მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრობის კანდიდატებს უფლება აქვთ აწარმოონ წინასაარჩევნო აგიტაცია და კამპანია.

მუხლი 5. მოსწავლეთა თვითმმართველობის თანამდებობის პირთა არჩევნების პროცედურა

5.1. მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრები არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან 7 დღის ვადაში, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევენ თვითმმართველობის პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტს და მდივანს.

5.2. მოსწავლეთა თვითმმართველობის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი და მდივანი აირჩევიან მოსწავლეთა თვითმმართველობის მოქმედების ვადით.

5.3. მოსწავლეთა თვითმმართველობის პრეზიდენტი ხდება პირი, ვინც მიიღებს ხმათა უმრავლესობას.

5.4. კენჭისყრის შედეგად მიღებული ხმების რაოდენობით საუკეთესო შედეგების მქონე მეორე კანდიდატი ხდება ვიცე-პრეზიდენტი.

5.5. ამავე სხდომაზე კენჭისყრით აირჩევა თვითმმართველობის მდივანი.

მუხლი 6. მოსწავლეთა თვითმმართველობის თანამდებობრივი ფუნქციები

6.1. მოსწავლეთა თვითმმართველობის პრეზიდენტი არის მოსწავლეთა თვითმმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირი.

6.2. მოსწავლეთა თვითმმართველობის პრეზიდენტი:

6.2.1. ხელმძღვანელობს მოსწავლეთა თვითმმართველობას;

6.2.2. მოსწავლეთა თვითმმართველობის კოორდინატორთან თანამშრომლობით ორგანიზებას უწევს თვითმმართველობის საქმიანობას;

6.2.3. წარმოადგენს მოსწავლეთა თვითმმართველობას სკოლის დირექციასთან და მესამე პირებთან ურთიერთობაში;

6.2.4. კოორდინაციას უწევს მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ შექმნილი კლუბების საქმიანობას;

6.2.5. ვიცე-პრეზიდენტთან და მდივანთან ერთად შეიმუშავებს სხდომების დღის წესრიგს და განსაზღვრავს რეგლამენტს;

6.2.6. კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

6.3.მოსწავლეთა თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი არის პრეზიდენტის მოადგილე.

6.4.ვიცე-პრეზეიდენტი:

6.4.1. ასრულებს პრეზიდენტის უფლებამოსილებას მისი არყოფნის შემთხვევაში;

6.4.2. პრეზიდენტთან და მდივანთან ერთად, შეიმუშავებს დღის წესრიგს და ადგენს რეგლამენტს.

6.5.მოსწავლეთა თვითმმართველობის მდივანი:

6.5.1. პრეზიდენტთან შეთანხმებით, ადგენს თვითმმართველობის სხდომების დღის წესრიგს და უზრუნველყოფს სხდომების რეგლამენტის დაცვით წარმართვას;

6.5.2. უზრუნველჰყოფს თვითმმართველობის სხდომების დაოქმებას.

6.6.მდივნის არყოფნის შემთხვევაში, სხდომის შესახებ ჩანაწერებს აკეთებს თვითმმართველობის კლუბის კოორდინატორი ან თვითმმართველობის კოორდინატორის დავალებით, თვითმმართველობის რომელიმე წევრი.

მუხლი 7. მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრისა და პრეზიდენტისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის წესი

7.1. მოსწავლეთა თვითმმართველობის პრეზიდენტისათვის/წევრისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:

7.1.1. პირადი განცხადება;

7.1.2. მოსწავლის სტატუსის შეჩერება/ სკოლიდან ამორიცხვა/ სწავლის დასრულება;

7.1.3. სკოლის შინაგანაწესის ან წინამდებარე დებულების წესების უხეში დარღვევა;

7.1.4. არასაპატიო მიზნით 2 თვის მანძილზე მასზე დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობა;

7.1.5. სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, გარდაცვლილად ან უგზოუკვლოდ დაკარგულად გამოცხადება;

7.1.6. სხვა ობიექტური გარემოება.

7.2. მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრის მიერ 8.1 პუნქტში ჩამოთვლილი მიზეზებით თვითმმართველობის დატოვების შემთხვევაში, თვიმმართველობიდან

გასული წევრის ადგილს იკავებს საკლასო არჩევნების (ან კლასში ჩატარებული არჩევნების) რეიტინგში მესამე ადგილზე გასული პირი.

7.3. იმ კლასში, რომელსაც წარმოადგენდა პირი, რომელმაც თვითმმართველობა დატოვა, თვითმმართველობის წევრობის მსურველი მესამე კანდიდატის არარსებობის ან/და მესამე კანდიდატის მიერ უარის თქმის შემთხვევაში ან/და თვითმმართველობის არჩევნებიდან 3 თვის გასვლის შემდეგ, ჩატარდება კენჭისყრა თვითმმართველობის ახალი წევრის ასარჩევად.

7.4. მოსწავლეთა თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მოსწავლეთა თვითმმართველობა დარჩენილი წევრებიდან ირჩევს პრეზიდენტს დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.

მუხლი 8. თვითმმართველობის მუშაობის წესი

8.1. მოსწავლეთა თვითმართველობას ხელმძღვანელობს თვითმმართველობის მიერ არჩეული პრეზიდენტი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში სხდომას წარმართავს ვიცე-პრეზიდენტი. ვიცე-პრეზიდენტის არყოფნის შემთხვევაში სხდომას თავმჯდომარეობს სხდომის უხუცესი წევრი.

8.2. თვითმართველობის პირველი სხდომა იმართება მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევიდან 7 დღის ვადაში, ხოლო შემდგომ - ყოველკვირეულად, ერთსადაიმავე დღეს.

8.3. მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები დასტურდება შესაბამისი ოქმებით, რომელსაც ადგენს მდივანი.

8.4. თვითმმართველობის წევრთა რიგგარეშე სხდომა შეიძლება ჩაინიშნოს თვითმმართველობის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, თვითმმართველობის კლუბის კოორდინატორის ინიციატივის ან/და თვითმმართველობის წევრთა ⅓-ის ინიციატივის საფუძველზე.

8.5. თვითმმართველობის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების, აქტივობებისათვის მზადებისათვის საჭირო დამატებითი შეხვედრები შეიძლება ჩაინიშნოს თვითმმართველობის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, თვითმმართველობის კლუბის კოორდინატორის ან/და ღონისძიების, აქტივობის დაგეგმვა/განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის დასაბუთებული ინიციატივის საფუძველზე.

მუხლი 9. თვითმმართველობის დაფინანასების წყაროები:

მოსწავლეთა თვითმმართველობის დაფინანსების წყაროებია:

8.1. სკოლის ბიუჯეტი;
8.2. მოსწავლეთა მიერ მოპოვებული გრანტები, შემოწირულობები;
8.3. სხვა, კანონით ნებადართული შემოსავლები.

მუხლი 10. დებულების დამტკიცება და ცვლილებების შეტანა

10.1. დებულების დამტკიცება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხი განიხილება დირექტორის, მოსწავლეთა თვითმმართველობის, მისი კოორდინატორის წევრთა საერთო კრებაზე.

10.2. დებულებაში დამატებისა და ცვლილებების ინიცირების შესახებ საერთო კრების მოწვევა ხდება შემდეგ შემთხვევაში:

10.2.1. დირექტორის უშუალო ინიციატივით;

10.2.2. მოსწავლეთა თვითმმართველობის კოორდინატორის ინიციატივის საფუძველზე;

10.2.3. თვითმმართველობის წევრთა მომართვის საფუძველზე, თვითმმართველობის წევრ მოსწავლეთა არანაკლებ 2/3-ის თანხმობით.